KA030189638314018

№ 01-9176 **26 / აპრილი / 2018 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს ბატონ
დავით სერგეენკოს

ადამიანური რესურსების მართვისა
და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსის, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
სოფიკო ბელქანიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 3 – 4 მაისს საფრანგეთში ქ. სტრასბურგში დაგეგმილია ევროპული სოციალური ინტეგრაციის პლატფორმის (PECS) მესამე შეხვედრა.

პლატფორმის მიზანია ევროპის სოციალურ ქარტიასთან ერთად ხელი შეუწყოს მოწყვლადი ჯგუფების სოციალური უფლებების თანაბარ და ეფექტურ ხელმისაწვდომობას, სოციალური ინტეგრაციის სფეროში წევრ სახელმწიფოებს შორის კარგი პრაქტიკისა და ინოვაციური მიდგომების გაზიარებას და ასევე ევროკავშირთან, გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან დიალოგს სოციალური ინტეგრაციის სფეროში თანამშრომლობის შესაძლებლობების იდენტიფიცირების კუთხით.

აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობის მიღების მიზნით მიწვეულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის პენსიისა და სოციალური დახმარების სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - თეა გვარამაძე.

ვიზიტში მონაწილეობის ხარჯები (მგზავრობა, სასტუმრო და დღიური ნორმა) ანაზღაურდება მიმწვევი მხარის მიერ.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ შესაბამისი მივლინების ბრძანების გაფორმებას ქალბატონი თეა გვარამაძისათვის მიმდინარე წლის 2 მაისიდან 5 მაისის ჩათვლით.

პატივისცემით,

ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

სოფიკო ბელქანია